საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 4

08/01/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მძღოლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამარტივებული კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 27 - ე და 28 -ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. **გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მძღოლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამარტივებული** კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

2. გამარტივებულ კონკურში მონაწილეთათვის დადგინდეს შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

ა)საშუალო სკოლა დამთავრებული

ბ) სამუშაო გამოცდილება არანაკლებ სამი წლისა

3.გამოცხადებული ვაკანტური პოზიციის სამუშაო ფუნქციებია:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით საკრებულოს შესაბამისი თანამდებობის პირების ტრანსპორტირება სამსახურებრივი ურთიერთობის ფარგლებში

4.საკრებულოს მძღოლის შრომის ანაზღაურებაა 600 ლარი

5. გამარტივებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვეფგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ელექტრონულად კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარადგინოს:

- განცხადება,
- საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მართვის მოწმობის ასლი Bკატეგორია,
- განათლებისა და პირადობის მოწმობის ასლები,
- სამუშაო გამოცდილების დამადასურებელი დოკუმენტის ასლი

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართია ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15.

7. გამარტივებული კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

ა)კანდიდატების მიერ წარდგენილი განცხადების გადარჩევა

ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

8. ვაკანტური თანამდებობის თაობაზე განაცხადის მომზადება და საჯარო

სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა.
9.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.
სახელი გვარი
<ფაქსიმილე>
თანამდებობა__

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე